ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #17

ქ. თბილისი

08 აპრილი 2013 წელი

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ თბილისის #203 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო კვარაცხელიას სახით და მეორეს მხრივ, შპს შპს ,,პლასტიკ ბუმის'' (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის გრიგოლ თევზაძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის #59 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. სსიპ ქალაქ თბილისის #203 საჯარო სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას სამზარეულოს მოწყობილობების (შემდგომში – საქონელი) შეძენის მიზნით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **497,30(ოთხასოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და 30 თეთრი)** ლარს.

2.2. სამზარეულოს მოწყობილობები (**CPV კოდი: 39200000**) ღირებულება შეადგენს: 1) საკვების კონტეინერები --2ცალი, ერთეულის ფასი --22,00ლარი, ჯამური ღირებულება--44ლარი; 2) საკვების კონტეინერები --2ცალი, ერთეულის ფასი --24,00ლარი, ჯამური ღირებულება--48ლარი; 3) საკვების კონტეინერები --2ცალი, ერთეულის ფასი --29,00ლარი, ჯამური ღირებულება--58ლარი; 4)თეფშების საშრობი--1ცალი; ერთეულის ფასი --48,00ლარი, ჯამური ღირებულება--48ლარი; 5)ურნის ვედრო #6 45ლ.--2ცალი; ერთეულის ფასი --18,00ლარი, ჯამური ღირებულება--36ლარი; 6) ვედრო გამჭვირვალე 71--2ცალი; ერთეულის ფასი --30,00ლარი, ჯამური ღირებულება--60ლარი; 7) საკანცელარიო ვედრო---5ცალი; ერთეულის ფასი --5,00ლარი, ჯამური ღირებულება--25ლარი; 8) საკვების კონტეინერები --3ცალი, ერთეულის ფასი --5,00ლარი, ჯამური ღირებულება--15ლარი; 9) საკვების კონტეინერები --1ცალი, ერთეულის ფასი --2,70ლარი, ჯამური ღირებულება--2.70ლარი; 10) რკინის დელუქსის თეფშები --3ცალი; ერთეულის ფასი --32,00ლარი, ჯამური ღირებულება--96.00ლარი; 11) მეტალის ლანგრები 60სმ.--2ცალი; ერთეულის ფასი --9,00ლარი, ჯამური ღირებულება--18.00ლარი; 12) ცომის ტაშტი 18ლ #4.--1ცალი; ერთეულის ფასი --6,00ლარი, ჯამური ღირებულება--6.00ლარი; 13) ცომის ტაშტი 26ლ #5.--1ცალი; ერთეულის ფასი --8,00ლარი, ჯამური ღირებულება--8.00ლარი; 14) საკვების კონტეინერები(ელიტარ.ოთხკუთხედი)---1ცალი; ერთეულის ფასი --2,00ლარი, ჯამური ღირებულება--2.00ლარი; 15)კონტეინერის კრებული--1ცალი; ერთეულის ფასი --7,00ლარი, ჯამური ღირებულება--7.00ლარი; 16) ჯამები(თუშფალანგი)---2ცალი; ერთეულის ფასი --4,00ლარი, ჯამური ღირებულება--8.00ლარი; 17) ჯამები(ლუქსი ოთხკუთხა ვანა)---2ცალი; ერთეულის ფასი --4,80ლარი, ჯამური ღირებულება--9.60ლარი; 18) ჯამები(ტაშტი #2)---2ცალი; ერთეულის ფასი --3,00ლარი, ჯამური ღირებულება--6.00ლარი;

ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი რევაზ დანელია.

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ნუცუბიძის, 5.

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, 2013 წლის 08 აპრილიდან 2013 წლის 08 მაისის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები დაჯარიმდებიან ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 08 აპრილიდან და მოქმედებს 2013 წლის 08 მაისის ჩათვლით.

შემსყიდველი:

სსიპ ქალაქ თბილისის #203 საჯარო სკოლა
მის: ქ. თბილისი, ნუცუბიძის, 5
საიდენტიფიკაციო კოდი 204873066
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ა 200122900
ტელ: 2394529

დირექტორი

ნინო კვარაცხელია

მიმწოდებელი:

შპს შპს „პლასტიკ ბუმი"
მის: ქ. თბილისი, ხიზანიშვილის, ქ. 15
საიდენტიფიკაციო კოდი: 400028750
ბანკი: სს „ საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: *ბ/კ 220101502*
ა/ა: GE92BG0000000276460600

დირექტორი

გრიგოლ თევზაძე